

1965



საქართველოს
საშენობის უნივერსიტეტი

ნ. ს. ჯ. ლომიძე



დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა და მევენახეებმა.

ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 145.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი, ხოლო მევენახეებმა 240 ათასი ტონა ყურძენი.

საშენობის უნივერსიტეტი „ქართული“.

№ 22 (1224) თბილისი ნომერი 1965

საქსუ

გამოსვლის 48-ი წელი. ფასი 20 კპ.



საბჭოთა საქართველო
გინგულირთქვა

საბჭოთა საქართველო



მეგობრული შარკი პ. ფირცხალაშვილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

კონსტანტინე! განვლდ სამოცი წელი მწერლური სიჩქარით, სამას სამოცჯერ გამოვიც სხვადასხვა სახის „ცისკარი“...
ხარ მთარგმნელი და მგოსანი, შესანიშნავი მწერალი, ნაკადულივით ცოცხალი, სწრაფი და მოუსვენარი... არ დაგკლებია აროდეს ნიჭი და ალღო მხატვრისა, მკითხველი კვლავაც ხარობდეს: მალე იხილავს „ნატვრისთვალს“.



აკაკი ხორავას

მუნაშვილი სამეობლოს

შენდა ლოცვად მე ეს ღვინო დავლიე, კვლავ ათასი თას-ჯამები მელიან, მე ჭერ შენთვის შევიღებ ათი გავლიე, სამჭერ ათი კიდევ გასავლელია.

შენს სიყვარულს დღენიადავ ვფიცავარ, და თუ ვინმემ ჩემზედ გული განვიწყოს, მე თეატრში მნახონ, რაც ვარ, ვინცა ვარ, მე კინოში მნახონ, რაც ვარ, ვინცა ვარ, სიტყვას ვიტყვი — ხმამ ქულილი დაიწყოს!

გუმ. თბ. ჩატ. ეგრ. ჩემბ. თას. ფინ. ასპ. ფეხბ.; ერთმ. ხვდ. „დინ“. (თბ.) — „ინტ“. (მილ.); ანგ. 9:7. იტ. სასარგ.; ცუდ. მსაჯ. რომ. (ინგლ.);

* * *

გუმინ უშგულში (ზემო სვანეთი) ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებოდნენ სოფელ უშგულის „უშბა“ და თბილისის საკონდიტრო ფაბრიკის გუნდი — „ნუგა“. მრავალრიცხოვანი მაყურებელი უდიდესი ინტერესით მოელოდა ამ ასპარეზობას.

თბილისელი ფეხბურთელები საკმაოდ იყვნენ გადაღლილი ჯერ მატარებელში, შემდეგ კი მანქანით მგზავრობით. გარდა ამისა, მათ ვერ მოასწრეს ჯეროვანი აკლიმატიზაცია უშგულის მაღალმთიან პირობებში. მთელი მატრის განმავლობაში წვიმდა, თოვდა, მოდიოდა სეტყვა და უბრავედა გრიგალი. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს. სტადიონზე შეკრებილი 100.000 მაყურებელი ტკბებოდა მათი უმშვენიერესი თამაშით.

უშგულის „უშბა“ მიეკუთვნება კატეგორიას ისეთი გუნდებისა, რომლებიც თავიანთ დაბალ ტექნიკურ დონესა და გააზრებული ტაქტიკის უქონლობას ანაზღაურებენ მაღალი ფიზიკური მომზადებითა და ძალისმიერ, ზოგჯერ უხეში თამაშითაც კი. მთელი 90 წუთი უშგულელები მიმართავდნენ ე. წ. „ბეტონის“ დაცვით სისტემას.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. უკვე მე-2 წუთზე ბურთი აღმოჩნდა თბილისელთა კარში. მაგრამ მსაჯმა ვალერიან თბილელმა (რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას) სასვეებით სამართლიანად არ ჩათვალა ეს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო. შემდეგში უპირატესობა, როგორც ტერიტორიული, ასევე ტექნიკურ-ტაქტიკურ-ინტელექტუალური, მთლიანად თბილისელთა მხარეზე იყო. მათი შეტევები და იერიშები ქარიშხალივით ასედებოდა მასპინძელთა კარს, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა უშგულელთა ახალგაზრდა მეკარე (სხვათა შორის, იგი აღიზარდა სწორედ „ნუგას“ კოლექტივში) მან, დაახლოებით, 100 მეკვდარი ბურთი აიღო.

მეორე ტაიმში მსაჯმა ვალერიან თბილელმა (რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას)

მოედნიდან სამართლიანად გააძევა უშგულელთა სამი მოთამაშე. უბრწყინვალესად თამაშობდა თბილისელთა თავდასხმა: ხალვაია, შაქარაშვილი, ვაფლიანი და ტორტაძე. ისინი ვეფხვებივით და ლომებივით უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. რვა უშგულელი იცავდა თავს თავგამოდებით.

თამაშის 90-ე წუთზე მსაჯმა ვალერიან თბილელმა (რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას) უშგულელთა კარში სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ტორტაძემ უძლიერესი და უდიადესი დარტყმით გახსნა ანგარიში და თამაშის დროც ამოიწურა...

1:0 „ნუგას“ სასარგებლოდ!..

ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „ნუგამ“ და მრავალრიცხოვან მაყურებელთა სამართლიანი ტაში და მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თბილისელთა თერთმეტივე მოთამაშე. საინტერესოა, რომ მწვრთნელმა ყველას ფრიადები დაუწერა. ცალკე უნდა გამოვეყოთ მსაჯი ვალერიან თბილელი (რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას).

ვიმედოვნებთ, რომ „ნუგა“ შემდეგ მატჩებსაც ასეთივე ეშხითა და სილამაზით ჩაატარებს. ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან ნუგელებს მრავალი და უმრავლესი წარმატება. ასე ტკბილად დაგვიბერდით, ნუგელებო!

უშგულში ჩატარებული ამ საინტერესო შეხვედრის დაწვრილებით ანგარიშს იხილავთ შემდეგ ნომერში.

გაზეთ „ახალგაზრდა კონდიტერის“ საკუთარი კორესპონდენტი

მურვან გულათურაძე



„ზრიათ სიყვარული...“

— ბავშვებო! აბა, ვინ გვეტყვის, რა გზები არსებობს ოქროს მედალოსნობისკენ?

— სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა! ახლა იგივე შეკითხვა დავსვათ მშობელთა კრებაზე:

— სწავლა, სწავლა და... — აქა-იქ ორზ-როგნად იღიმებიან.

— აბა, ვინ იტყვის, ე. ი. სწავლა, სწავლა და...

საუბარი ვრძელდება ქუჩაში.

— გამარჯობა, ჩემო გუგული, საით, გოგო?

— ეკითხება ორმოცი წლის „გოგო“ ბაზრიდან ქლომინით მომავალ დედაკაცს.

— მომკლა, ქალო, ორ ოჯახად ცხოვრებამ, ხან ქმარს უზიდე სადილი, ხან შეიღს!..

— უი, ღმერთო მომკალი, დაშორდით ერთ-მანეთს?!

— აბა, რა გვექნა!

— კარგი გიქნია, ან აქამდე როგორ გაუძე-ლი მაგ მუტრუქს!

— რას ერჩი, გოგო, ქმარი რა შუაშია, ბავ-შვის გულისთვის..

— ბავშვსაც გედავება მაგ გარეწარი? წაათ-რიოს, მაინც სისხლი არ გქონდა გამშრალი მისგან?!

— ქმარ-შვილს რატომ მილანძლავ, ქალო! ბავშვი გადავიყვანეთ წყნეთში სასწავლებლად.

— უი, ღმერთო მომკალი, ბოდიში, გენაცვა-ლე! ისე, წყნეთი მაინც რამ აგაჩრევინა?

— ნახევარი კლასი გარეუბნის სკოლებში დარიგდა, ვინ სად გადააყვანა ბავშვი, ვინ — სად! ჩვენ კი — წყნეთში. ოქროს მედალს ქა-ლაქში ვინ გაღირსებს!

— წყნეთს კაცი სწავლის მდაბზე კი არა, ქა-მის მდაბზე მოჰყავს. ხო-ხო-ხო, აგრაფინა რა

დღეში იქნება! იმას თუ გაყავს მისი „ოქრო“ ბიჭი ოქროს მედალზე?

— თუ გაუვიდათ, რატომ არ გაიყვანენ, გე-ნაცვალე!.. ჰმ, არ გაგეცინება, საღამოს სკოლა-ში ვადაუყვანია.

— რატომ, ალბათ, საღამოს სკოლაში უფრო ბნელა, არა?

— ხომ გაგიგონია, ბრმათა შორის ცალთვა-ლით, ვით პირველი სარდალიო.

— ამიტომაც, ალბათ, ყველა ბრმების სკო-ლას რომ დაეძებთ.

— რა გვექნა, ჩვენთვის სხვა გზა არაა.

* * *

...აბა, ახლა ვინ იტყვის რა გზები არსებობს ოქროს მედალისკენ? სწავლა, სწავლა და...

მ. კოლოფაშვილი

მორს ნიშნე

დილით ადრე ვაღვიძა ამბროსიმ და გათე-ნებიდანვე ურთიანდელ იყო ქვეული, ეში-ნოდა, ნავის გამტანი მანქანის ზარის ხმა არ გამომარგოდა. ზარის ხმა კი არა და არ ისმო-და... სამსახურში წასვლის დროც ახლოვდე-ბოდა.

ცოლ-შვილის სოფლად გამგზავრების შემ-დეგ ერთი თვე გავიდა. სულ იმის ცდაში იყო, ნაგავი არ დაგროვებოდა. სახლში საქმელსაც აღარ ჰქმდა, რომ ნარჩენებს არ შეეწუხებინა, მაგრამ, ერთ თვეში, მაინც საკმაოდ დაგროვ-და და დღეს სასაგვე კალთი უსათუოდ უნდა გაეცალა.

სამსახურის დაწყებამდე ნახევარი საათი-და

რჩებოდა, როდესაც მოესმა სანატრელი ზარის წკრიალი. იმ წუთსვე სტაცა ხელი კალათას და მუხუთე სართულიდან შურდულივით დაეშვა.

მაგრამ, ვაი, უბედურება! ზარს ნავთის გამ-ყიდველი რეკდა.

ამბროსი მოუცილებელი ტვირთით ბინაში დაბრუნდა. ერთბაშად თავში აზრმა გაუელვა: იატაკზე ძველი გაზეთი დააფინა, ზედ ნაგავი დაყარა, სათუთად შეახვია, მოხდენილად შეკ-რა და სამსახურისკენ გაემშურა.

ქუჩაში მოხერხებულ ადგილს ათვალდებ-და. მოულოდნელად ცილაცამ მანქანა გააჩერა.

საკეტთან ტრესტის მთავარი ინჟინერი იჭდა.

ანიშნებდა, ჩამქდარიყო. რაღა გაეწუხოდა, უარის თქმას ვერაფრით გაამართლებდა: ცხრას ათი წუთი აკლდა...

ზუსტად ცხრაზე, ხელში ამოჩრილი მოზრდი-ლი ფუთით, სამუშაო მაგიდას მიუჭდა, ფუთა საწერი მაგიდის უჯრაში ჩაეკეტა...

მთელი დღე კაბინეტიდან კაბინეტიში დადი-ოდა, სამუშაო მაგიდას ვერ ეკარებოდა.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მძიმე ნაბიჯებით თავის სახლის კიბეებზე ადიოდა. ხელში ისევ ის წუთული ფუთა ეჭირა, რომე-ლიც, ამჟერად, უფრო მძიმე ტვირთის შთა-ბეჭდილებას ტოვებდა.

გურანდა ჩხარტიშვილი.

კვლევი ვარსკვლავი-სახინკა!

რაც ქუთაისი ჰი ტროლეიბუსი გაჩნდა, გაჩნდა პირ-ველი ვარსკვლავი. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო ფალიაშვილისა და 1905 წლის რევოლუციის ქუ-ჩების გადაკვეთა. ქალაქმა ფერი იცვალა და შეიცვა-ლა: ზოგიერთი ვარსკვლავი, მაგრამ, ამ უკანასკნელი-სათვის, ე. ი. იმ პირველისათვის, ხელი არავის უბ-ლია, რადგან ბაზართან ახლოს, ერთბაშად გამოწერილ ადგილზეა მოწყობილი.

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, ტრულებუსისა და ავტობუსის ვარსკვლავსთან ჩვეულებრივ გაიწვლა რი-გი. გამოჩნდა ტროლეიბუსი. მგზავრები შეიძინენ. ზედ ცხვირწინ ჩაიქროლა მანქანამ. მგზავრები ადგი-ლზე გაიყინენ. გამოჩნდა ავტობუსი. ისევ აწრიალდა რიგი, ზედ ცხვირწინ ჩაიქროლა ავტობუსმაც. კიდევ უფრო აწრიალდა ხალხი...

ფალიაშვილის ქუჩა, ლომბარდის შენობა. დგანან სერიოზული გამომეტყველების კაცები და ხელებს საქმიანად იქნევენ. ბოლოს, ეს ხელები ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლის ძალითაც ლომბარდის ქვედა სართული სახალხოდ გადაეცა კინოფიკაციის განყო-ფილებას კინო „ქრონიკისათვის“. ახლა ამ გადაწყვე-ტილების შესრულების მიმდინარეობის ქრონიკის შე-სახე:

ლომბარდის შენობის წინ კვლავ დგანან სერიო-ზული გამომეტყველების კაცები და ხელებს საქმი-ანად იქნევენ. ბოლოს, ეს ხელები ხელს აწერენ დო-კუმენტს. ახალი გადაწყვეტილებით უქმდება ძველი გადაწყვეტილება, რადგან ძველი გადაწყვეტილების გადაწყვეტისას, თურმე, ადგილი ჰქონია გაუგებრო-ბას, აქ კი უნდა მოეწყო საზოგადოებრივი სარგებ-ლობის საპირფარეო. ასე ყოფილა ადრე გათვალის-წინებული.

— უფროსებო, ბოლობოლო, რა ავაშენოთ, საპი-რფარეო, თუ კინო?—იკითხეს სამუშაოთა მწარმო-ებლებმა.

— ჩვენ პირიანი ხალხი ვართ, ვთქვით საპირფა-რეო, მაშასადამე, საპირფარეო!

ასე დაიწყო აქ მშენებლობა. მოზიდეს კირი, ცე-მენტი, ქვიშა, აგური. ამოიყვანეს კედელი, დასურეს, მაგრამ შენობა არც კინოს დამუშავება, არც საპირფა-რეოს.

დავამთავროთ და ვნახოთ, რა გამოვაო!

ბევრ ილუზიონისტს შემურდებდა ასეთი ორიგინა-ლური ფოკუსი. შემოსხნეს ხარაჩო შენობას და... არც კინო, არც საპირფარეო — მშვენიერი სახინკლე წა-მოიჭიმა!

სახინკლესთან დგანან სერიო-ზული გამომეტყვე-ლების კაცები და ხელებს საქმიანად იქნევენ.

— ამხანაგებო, ასე თუ ჩავვიქროლეს ცხვირწინ ავტობუსებმა და ტროლეიბუსებმა, შორს ვერ წავალთ. ხინკლისთვის კაცი გაქანებული ტროლეიბუსიდან ვერ გადმოსტება.

— გადმოვიტანოთ ვარსკვლავი, მუშტარი გამოუღე-ველი გვეყოლება!

— „სახინკლე“!

...ჯაჭვის ხიდზე მიმავალი ჭომელები ორასრო-ნად იღიმებიან:

— ვილაცას პირს დაწვავს ცხელი ხინკალი, რას იტყვი, ჩემო მანუჩარ?

— დაწვავს, აბა არა?!

მგზავრები




სადაც ხეობენ


ნახ. მ. აბაშიძის




ნახ. ა. ჰორდუნიანი




ნახ. ლ. სინარულიძის




ნახ. ა. ბრევი



ნახ. ლ. ზაზანიძის



სადაც ხეობენ



ვფიქრობ, თქვენც გაგიგონიათ ამბავი ერთი კაცისა: მწერალი გახლავთ ხელობით, არც მიწისაა, არც ცისა.

არ შემხვედრია არავინ ასეთი მოუსვენარი, ბევრი დააცხო რომანი, ბევრი ლექსი და სცენარი.

ისერის წკიპურტებს, შარადებს, აფრქვევს ნაკვესებს, სტატიებს, პრინციპულია, ხალტურას არავის არ აპატიებს!



არვინ იფიქროს, თითქოსდა, ხელი დააკლო თარგმანებს; ვინდა არ თარგმნა, ყველაფერს თავის ნაწერებს ამგვანებს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, კიდევ ბევრ რამეს გვპირდება, მაგის შემყურე მწერლობას აბა, რა გაუჭირდება?!

სხვათა აზრებში ფათურობს, თურმე ყოფილა მქაფავიც, არც ერთი ჟანრი არ დარჩა უხმარი, გაუკაფავი.

რაც კი რამ დაუწერია, ყველამ იცის, რომ წყალია; თუმცა ამ კაცთან რა გვინდა, ვინც უცემს, მისი ბრალია.

არველოდი წინააზრ



— ალო, ალო! საბელეფონო კვანძია?!

Graphoman

შხაისჯაქსსუნუბი

აფთიაქმა ერთ დღეს გაყიდა ნახევარი კილო ასპირინი და შვიდასი გრამი სალიცილი. რამდენი სიცხიანი ავადმყოფი მოჩჩა, სახლში წაღებულმა „წამლებმა“ გრამის ვირუსებს შეუტიეს, თუ შაკივისას?

პასუხი: პამიდორის წველებისას, დამეაფებას გადარჩა დიდი რაოდენობის საზამთრო მარაგი.

პრემიერის პირველ სპექტაკლს დაესწრო 300 მაყურებელი, მეორეს — 200, მესამეს — 100, მეოთხე სპექტაკლს კი — 40 მაყურებელი. რამ მიიყვანა მეოთხე სპექტაკლზე მაყურებლები, პიესის დრამატულმა კვანძმა, თუ მსახიობების ოსტატობამ?

პასუხი: აბონემენტმა.

მიმტანმა არსენამ ერთ მაგიდაზე ზედმეტად გადაადდევინა 22 მანეთი და ოცი კაპიკი, მეორეზე — 17 მანეთი და 11 კაპიკი, მესამეზე — 12 მანეთი და 30 კაპიკი. რესტორნის დირექტორმა არსენა სამსახურიდან მოხსნა. რა არ იცოდა არსენამ, გამრავლება თუ გამოკლება?

პასუხი: გაყოფა.

რბილი ვაგონის მეორე კუბეში ეძინა ორს, მესამეში — ერთს, მეოთხეში — ორს, მეხუთეში — ოთხ უბილეთო მგზავრს. რატომ?!

პასუხი: პირველ კუბეში ეძინა მატარებლის რევიზორს.

3. კახელიწვილი

რედაქტორი ნ. ლუმბაძე
 სარედაქციო კოლეგია: ნ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, თ. ჰელიძე.
 საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-78

ხელმოწ. დისაბ. 17/XI-1985 წ. კალ. ზომა 70x108 1/2, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შვედ. № 3013 უფ. 05480 ტირაჟი 40000

